ოქმი:**ო12. 3722355001**

თარიღი:**21/12/2022**

ოქმი № 22

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ბ. მელუა, ე. გორდელაძე, ხ. თავდიშვილი, ხ. ცერცვაძე, მ. ვაშალომიძე, ქ. ვასაძე, ნ. ღაჟონია.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ნ. გოლიაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტის შესახებ, ხოლო თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ ზოგადად ისაუბრა ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებზე, აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი იზრდება 831 ათასი ლარით, ძირითად პრიორიტეტებზე საუბრის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, კომისიის დარგობრივი პროგრამების დაფინანსებაში შეტანილ ცვლილებებს, განაცხადა, რომ გათვალისწინებულია კომისიის თითქმის ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და სხდომის თავმჯდომარის ქ. ხომერიკის წინადადებით, მხარი დაუჭირეს ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის პროექტის შესახებ, მანამდე მოისმინეს თანამომხსენებელ ნ. გოლიაძის სრულყოფილი ინფორმაცია ადრე მიღებულ დადგენილებაში შეტანილ ყველა ცვლილებაზე. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა ორი შეკითხვა-1. შეთანხმდა თუ არა მუნიციპალიტეტის მერია სოციალური სააგენტოდან საჭირო ინფორმაციის მიღებაზე?; და 2. რა მუშაობას ეწევა მერია იმ მშობლებთან, რომელთაც ჰყავთ შ.შ.მ. ბავშვები და არ სურთ მათი სასწავლებელში გაშვება? განუმარტეს, რომ სოციალური სააგენტოდან ინფორმაციის მიღება პრობლემატურია, მაგრამ მალე მოგვარდება, შ.შ.მ. ბავშვების მშობლებთან მიმდინარეობს ინფორმაციული მუშაობა. კომისიის წევრმა ხ. ცერცვაძემ გამოთქვა აზრი, რომ სწავლა-აღზრდის მეთოდებში ცვლილებებთან დაკავშირებით აუცილებელია საბავშვო ბაღების აღმზრდელთა დატრენინგება. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე: N1 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N2 განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე